შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №დმ-95/11/19

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 25 ნოემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

1. შპს "ინტეგრირებული ბიზნეს გადაწყვეტილებები" (ს.ნ. 205033444, იურ. მის: ალ. ყაზბეგის გამზ. 42) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ლევან ქაჯაიას მიერ (შემდგომში მიმწოდებელი),
2. ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი" (ს.ნ.404391975, იურ. მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის 2, ფაქტ. მის: აღმაშენებლი 154.) წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მამათელაშვილის მიერ (შემდგომში შემსყიდველი ორგანიზაცია),

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობებით მიმწოდებელი აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას პროგრამული პროდუქტით სარგებლობის უფლებას.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის პროგრამული პროდუქტი გულისხმობს მიმწოდებლის შემდეგ პროდუქტს IBS ბუღალტერია.

1.3. სარგებლობის უფლება გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებას გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი მხოლოდ მისი სააღრიცხვო მიზნებისთვის.

1.4. გამომდინარე იქიდან, რომ ლიცენზიის ფარგლებში შემსყიდველ ორგანიზაციას პროგრამული პროდუქტი გადაეცემა სარგებლობაში, მას არ აქვს აღნიშნული პროგრამული პროდუქტის შემდგომი რეალიზაციის ან სხვაგვარად განკარგვის უფლება (როგორიცაა მესამე პირისთვის სარგებლობაში გადაცემა და სხვა).

მუხლი 2. პროგრამული პროდუქტით სარგებლობის პირობები

2.1. პროგრამულ პროდუქტით სარგებლობის უფლება ვრცელდება პროგრამული პროდუქტის იმდენ ეგზემპლარზე, რამდენიც მოცემულია **დანართ №1**-ში. მისი გამოყენება დროის ერთი მომენტისთვის შესაძლებელია იმდენი კომპიუტერიდან, რამდენი ეგზემპლიარიც არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით.

2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პროგრამული პროდუქტის გამოყენების წესების დაცულობა. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ პროგრამულ პროდუქტით სარგებლობის პირობების სისწორის შემოწმება.

2.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ შეთანხმების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, მოახდინოს პროგრამული პროდუქტის ამოღება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2.4. პროგრამული პროდუქტი და მისი თანმხლები დოკუმენტაცია წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით. მიმწოდებელი არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა.

2.5. მიმწოდებელი თავის თავზე იღებს ვალდებულებას საკუთარი სახსრებითა და რესურსებით გონივრულ ვადაში შეასწოროს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღმოჩენილი პროგრამული შეცდომები პროგრამული პროდუქტის მომხმარებლის სარგებლობაში გადაცემიდან 2012 წლის 1 დეკემბრისჩათვლით.

2.6. დაუშვებელია პროგრამული პროდუქტის მესამე პირებზე გადაცემა მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2.7. დაუშვებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პროგრამულ პროდუქტში ცვლილების შეტანა.

2.8. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის და ქსელის, დაკავშირებების (მათ შორის ტერმინალური) გამართული მუშაობა პროგრამული პროდუქტის მოთხოვნების შესაბამისად.

2.9. შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს პროგრამული პროდუქტის ექსპლუატაციის პროცესში ყოველდღიურად შექმნას და შეინახოს პროგრამული პროდუქტის ბაზის საარქივო ასლები, რათა გამოირიცხოს მონაცემთა დაკარგვა მხარეებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების გადაცემის ღირებულებაა 1652 ლარი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციისათვის პროგრამული პროდუქტის სარგებლობის გადაცემიდან 5 დღის ვადაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3.

მუხლი 4. პროგრამული პროდუქტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ პროგრამული პროდუქტის შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სარგებლობაში გადაცემისთანავე ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტს. პროგრამული პროდუქტის მიღებაზე პასუხისმგებელი პირია არჩილ მამათელაშვილი. პროგრამული პროდუქტის ჩამონათვალი მოცემულია დანართი №1-ში.

მუხლი 5. ინტელექტუალური საკუთრება

5.1. პროგრამული პროდუქტი, დასახელებები, სახელწოდებები, დოკუმენტაცია და სხვა პროგრამული პროდუქტის მაკომპლექტებელი ნაწილები კომპანიის ინტელექტუალური საკუთრებაა.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მკაცრად დაიცვას მიმწოდებლის ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მისთვის გადაცემული პროგრამული პროდუქტის, თანმხლები დოკუმენტაციის, დაცვის საშუალებების და პროდუქტის სხვა მაკომპლექტებელი ნაწილების დაცვა როგორც საკუთარი თანამშრომლების, ასევე მესამე პირების მიერ უკანონო (არადანიშნულებისამებრ) გამოყენებისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 6. სხვადასხვა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებანი რეგულირდება ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულება ცვლის მხარეთა შორის არსებულ ყველა იმ ზეპირ და წერილობით შეთანხმებას, ხელშეკრულებას და სხვა სახის აქტს, რომელიც არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების მიღებამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

მიმწოდებელი	**შემსყიდველი ორგანიზაცია**
შპს „ინტეგრირებული ბიზნეს გადაწყვეტილებები"	ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"
01, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42	თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2
ბანკი რესპუბლიკა - ცენტრალური ფილიალი	საქართველოს ბანკი
ა/ა: # GE35BR0000003608037397 კოდი: 220101757	ა.ა: # GE15BG0000000886103300 კოდი: BAGAGE22
ს/ნ: 205033444	ს/ნ: 404391975
_____ /ლ. ქაჯაია/	_____ /ა. მამათელაშვილი/
მ.ა.	მ.ა.

დანართი #1

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე №დმ-95/11/19 თარიღით 25 ნოემბერი 2011 წელი

პროგრამული პროდუქტის ჩამონათვალი და ღირებულება

#	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება
1.	IBS ბუღალტერია	1	1652

მხარეთა იურიდიული მისამართები:

მიმწოდებელი

შპს „ინტეგრირებული ბიზნეს გადაწყვეტილებები"

01, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42

ბანკი რესპუბლიკა - ცენტრალური ფილიალი

ა/ა: # GE35BR0000003608037397 კოდი: 220101757

ს/ნ: 205033444

_____ /ლ. ქაჯაია/

ბ.ა.

შემსყიდველი ორგანიზაცია

ს.ს. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"

თბილისი, ბარათაშვილის ქ. #2

საქართველოს ბანკი

ა.ა: # GE15BG0000000886103300 კოდი: BAGAGE22

ს/ნ: 404391975

_____ /ა. მამათელაშვილი/

ბ.ა.